იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი *22 აგვისტო 2011 წ.*

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:

1.1. ***მეიჯარე*** – შპს "ჩელა", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რ-ნში, ამბროლაურის ქ. №166, კორ. 2, ბ. 24, რეგისტრაციის (საიდენტიფიკაციო) № 204855068, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გვარამაძის სახით, პირადი № 01009004518;

1.2. ***მოიჯარე*** – შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №154, რეგისტრაციის (საიდენტიფიკაციო) № 404391136, წარმოდგენილი გიორგი როინიშვილის სახით, პირადი №01030031584; პირადობის მოწმობა № გ 0297767, რომელიც მოქმედებს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორის იანიე ადამის მიერ 2011 წლის 07 აპრილს გაცემული მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. ***საიჯარო ქონება*** – წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 მუხლში მითითებული უძრავი ნივთი, რომელსაც მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს დროებით (მე-7 მუხლში დადგენილი ვადით) სარგებლობაში. საიჯარო ქონება ყოველთვის მოიცავს საკუთნებელსაც, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსისა და კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს;

2.1.2. ***საკუთნებელი*** – წინამდებარე ხელშეკრულების 4.8 მუხლში მითითებული ქონება, რომელსაც მეიჯარე საიჯარო ქონებასთან ერთად მოიჯარეს გადასცემს დროებით (მე-7 მუხლში დადგენილი ვადით) სარგებლობაში;

2.1.3. ***ქირა*** – წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 მუხლში გათვალისწინებული ფულადი თანხა, რომელსაც მოიჯარე უხდის მეიჯარეს საიჯარო ქონებით სარგებლობისათვის;

2.1.4. ***საიჯარო ვადა*** – წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლში გათვალისწინებული ვადა, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე სარგებლობს საიჯარო ქონებით და უხდის მეიჯარეს საიჯარო ქირას;

2.1.5. ***მხარე*** – მეიჯარე ან მოიჯარე კონტექსტის შესაბამისად;

2.1.6. ***მხარეები*** – მეიჯარე და მოიჯარე ერთდროულად;

2.1.7. ***მესამე პირი*** – ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, გარდა მხარეებისა.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული სხვა ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით, მეიჯარე იჯარით გასცემს და მოიჯარე თანხმობას აცხადებს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და საიჯარო ქირის გადახდის სანაცვლოდ, იჯარით დროებით სარგებლობაში აიღოს მეიჯარის საკუთრებაში არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

მუხლი 4. საიჯარო ქონება და საკუთნებელი

4.1. საიჯარო ქონება წარმოადგენს ავტოგასამართ სადგურს (მიწა, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1, №2, №3, №4 და შესაბამისი ინფრასტრუქტურა) განლაგებული 768 კვ.მ.-ზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გელოვანის გამზ. 2, ვეკუნახეობის ინსტიტუტის მიმდებარედ, მიწის (უძრავი ქონების) საკადრო კოდი № 01.10.11.004.004.

4.2. მეიჯარის განცხადებით, საიჯარო ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის მას, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

საკონტროლო № 7814

SPG ვანცელარია 404391136

შემავალი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულებით, მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, მოიჯარეს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საიჯარო ქონება.

4.4. "უფლებრივად უნაკლო" საიჯარო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ აქვს და არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მოიჯარეს საიჯარო ქონების გამო.

4.5. "ნივთობრივად უნაკლო" საიჯარო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ, რომ საიჯარო ქონება ვარგისია წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლში მითითებული მიზნით გამოყენებისათვის.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქონების სამართლებრივი მდგომარეობის (იპოთეკა, გირავნობა, ვალდებულება და სხვ.) შედეგად მოიჯარეს მიადგება რაიმე ზიანი ან საიჯარო ქონებას აღმოაჩნდება უფლებრივი და/ან ნივთობრივი ნაკლი ან/და, თუ მეიჯარე ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, მეიჯარე სრულად არის პასიხისმგებელი ყველა შედეგზე, ხოლო მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

4.7. თუ მეიჯარე დააყოვნებს ნაკლის გამოსწორებას, მოიჯარეს უფლება აქვს, თავისი ხარჯით აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხერის მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

4.8. წინამდებარე ხელშეკრულებით მოიჯარის დროებით სარგებლობაში გადადის საიჯარო ქონების საკუთვნებელიც, რომელშიც შედის: 1 (ერთი) - 19999 ტონიანი ავზი, 1 (ერთი) - 20259 ტონიანი ავზი, 1 (ერთი) - 19620 ტონიანი ავზი, 1 (ერთი) - 19930 ტონიანი ავზი, მილსადენი და აგრეთვე სხვა ქონება რომლის დაზუსტებული ჩამონათვალი მოცემული იქნება მხარეთა შორის საიჯარო ქონების მიღება-ჩაბარების აქტით. ჩამოთვლილი საკუთნებელზე საიჯარო ქონების მსგავსად, სრულად და შეუზღუდავად ერცელდება წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და წესი.

4.9. მეიჯარე საიჯარო ქონებას მოიჯარეს გადასცემს მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში, რა დროსაც მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს როგორც საიჯარო ქონებასა და საკუთვნებელს, ასევე საიჯარო ქონებაში არსებული ელექტრო-ენერგიის, გაზის, წყლისა და ტელეფონის გადასახადების დაფარვის დამადასტურებელ ქვითრებს. მეიჯარე აგრეთვე ვალდებულია, გადასცეს მოიჯარეს ყველა საბუთი ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი (მათ შორის, ნებართვა, ლიცენზია ან/და სხვა დოკუმენტი), რომელიც დაკავშირებულია საიჯარო ქონების და მისი საკუთვნებლის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის ექსპლოატაციასთან/ოპერირებასთან და რომელიც აქვს ან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, უნდა ჰქონდეს მეიჯარეს.

4.10. მეიჯარე ვალდებულია საიჯარო ქონების (მათ შორის მისი საკუთვნებლის) გადაცემამდე შეამოწმოს მისი მდგომარეობა და დარწმუნდეს, რომ საიჯარო ქონება (აგრეთვე მისი საკუთვნებელი) იმყოფება ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, კარგ მდგომარეობაში, არის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი და ფუნქციონალური.

4.11. საიჯარო ქონების გადაცემის საფუძველზე მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომლითაც დასტურდება, რომ, ერთი მხრივ, მოიჯარემ მიიღო აქტში ჩამოთვლილი ქონება, ხოლო მეიჯარემ გადასცა ეს ქონება. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით, მეიჯარე ასევე ადასტურებს, რომ მან კეთილსინდისიერად განახორციელა წინამდებარე ხელშეკრულების 4.10 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, საგულდაგულოდ შეამოწმა საიჯარო ქონების (აგრეთვე მისი საკუთნებლის) მდგომარეობა და ადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი დაფარული ნაკლი, რომელიც მან დაუმალა მოიჯარეს ან/და რაც გამოიწვევდა ზიანს.

მუხლი 5. საიჯარო ქონებით სარგებლობა

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

SPG კანცელარია

5.1. მოიჯარემ საიჯარო ქონება უნდა გამოიყენოს სამეწარმეო საქმიანობისათვის, კერძოდ, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის და ნებისმიერი სხვა საქმიანობის განსახორციელებლად.

5.2. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ მოიჯარეს მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, უფლება აქვს საიჯარო ქონება ან/და საკუთნებელი გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს ქვე-იჯარით.

5.3. მეიჯარე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი უფლებამოსილია მოინახულოს საიჯარო ქონება მისი მდგომარეობის შემოწმების მიზნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შესვლა ხორციელდება მოიჯარის თანხმობით, წინასწარ შეთანხმებულ დროს სულ ცოტა სამ (3) დღიანი წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ მეიჯარეს უფლება აქვს მხოლოდ დაათვალიეროს და ვიზუალურად შეამოწმოს საიჯარო ქონება.

5.4. მოიჯარე აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების განმავლობაში შესაძლოა ისარგებლოს სხვა კომპანიის საფირმო სახელწოდებით, შესაბამისად, საიჯარო ქონებაზე გააკეთოს შესაბამისი რეკლამა, გამოიყენოს ბანერები, ლაითბოქსები და სხვა საშუალებები. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ 5.4. მუხლში განსაზღვრული უფლება აქვს მხოლოდ მოიჯარეს და წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, არ ისარგებლებს საიჯარო ქონების ფარგლებში დამონტაჟებული არც ერთი საშუალებით, რომელიც გამოიყენებოდა ან შეიძლება გამოყენებული იქნას ამ 5.4. მუხლის მიზნებისათვის.

მუხლი 6. ქირა და მისი გადახდის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით საიჯარო ქირა დღგ-ს გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სხვა გადასახადის ჩათვლით შეადგენს საიჯარო ქონების მეშვეობით - ავტოგასამართი სადგურიდან მოიჯარის მიერ რეალიზებული საწვავის (ბენზინი და დიზელი) ყოველ ლიტრზე 1.73 (ერთი მთელი სამოცდაცამეტი მეასედი) ცენტის (აშშ ცენტი) ექვივალენტ ლარს (დღგ-ს გარეშე), მაგრამ მთლიანობაში არაუმცირეს თვეში 2000 (ორი ათასი) ლარისა.

6.2. საიჯარო ქირის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების 4.11. მუხლში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან. საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, მოიჯარის მიერ დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე.

6.3. თუ საიჯარო ქირის გადახდის ბოლო დღე დაემთხვა არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე.

6.4. ქირის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში), გადახდის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

6.5. მოიჯარე ვალდებულია იჯარის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში აწარმოოს კომუნალური გადასახადებისა (ელექტროენერგია, წყალი, გაზი და სხვა) და საიჯარო ქონების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული სხვა გადასახდელების სრული და დროული გადახდა საკუთარი ხარჯით მხოლოდ იმ პირობით, თუ მეიჯარე უზრუნველყოფს საიჯარო ქონებისათვის ცალკე მრიცხველების გამოყოფას ისე, რომ მოიჯარის მიეცეს შესაძლებლობა მოახდინოს მათი რეგისტრაცია თავის სახელზე.

6.6. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მოიჯარე უფლებამოსილია, შეაჩეროს საიჯარო ქირის გადახდა, თუ წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 მუხლში აღნიშნული გარემოებების შედეგად, ფერხდება საიჯარო ქონებით სარგებლობის შეუძლებლობა (დანიშნულებისამებრ გამოყენება/ოპერირება). ასეთ შემთხვევაში, მოიჯარე უფლებამოსილია შეაჩეროს საიჯარო ქირის გადახდა იმ დრომდე, სანამ აღმოიფხვრება ყველა ის გარემოება, რომელიც ხელს უშლიდა მოიჯარეს საიჯარო ქონებით სარგებლობაში (დანიშნულებისამებრ გამოყენებაში).

6.7. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მეიჯარე მოიჯარეს ანიჭებს სრულ და შეუსყიდავ უფლებას, მეიჯარის შემდგომი აქცეპტის ან/და თანხმობის გარეშე საიჯარო ქონებიდან გაქვითოს (სრულად ან ნაწილობრივ)

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

ნებისმიერი დასაბუთებული დავალიანების/ვალდებულების თანხები, რომლებიც დაკავშირებულია ან/და გამომდინარეობს, როგორც წინამდებარე ხელშეკრულებიდან, ასევე მეიჯარისა და მოიჯარის სხვა სახის ურთიერთობიდან/გარიგებებიდან და რომელიც მეიჯარეს გააჩნია ან/და შემდგომში წარმოეშვება მოიჯარის წინაშე.

6.8. თუ გარემოებები ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა, მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების ფასის მისადაგება (გაზრდა ან შემცირება) ასეთ ახალ გარემოებებთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 7. იჯარის ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული იჯარის საერთო ვადაა 14 (თოთხმეტი) წელი, ხელშეკრულების 7.2. პუნქტში აღნიშნული პირობით. საიჯარო ვადის ათვლა დაიწყება წინამდებარე ხელშეკრულების 4.11. მუხლში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

7.2. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ საიჯარო ვადის პირველი ექვსი თვის გასვლამდე მოიჯარე თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს, სურს თუ არა ხელშეკრულების გაგრძელება მომდევნო თვრამეტი თვით (მთლიანი ვადა 2 წელი). თუ მოიჯარე გადაწყვეტს ხელშეკრულების გაგრძელებას, იგი აცნობებს მეიჯარეს ამის შესახებ ზეპირი ან წერილობითი შეტყობინების გზით. ასეთი შეტყობინების შემთხვევაში ხელშეკრულების ვადა ჩაითვლება გაგრძელებულად მომდევნო თვრამეტი თვით (მთლიანი ვადა 2 წელი), იგივე პირობებით. თუ მოიჯარე არ გამოთქვამს საიჯარო ვადის გაგრძელების სურვილს ამ ხელშეკრულების 7.2. მუხლში მოცემული წესით, ხელშეკრულება საიჯარო ვადის პირველი ექვსი თვის გასვლის შემდეგ ჩაითვლება შეწყვეტილად და მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, განახორციელონ წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ის ქმედება ან/და ვალდებულება, რაც დაკავშირებულია მათ შორის საიჯარო ურთიერთობების შეწყვეტასთან. საიჯარო ვადის 2 წლის გასვლამდე მოიჯარე თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს, სურს თუ არა ხელშეკრულების გაგრძელება მომდევნო 5 წლით (მთლიანი ვადა 7 წელი). პირველი შვიდი წლის გასვლის შემდგომ მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მოიჯარე გადაწყვეტს ხელშეკრულების გაგრძელებას, იგი აცნობებს მეიჯარეს ამის შესახებ ზეპირი ან წერილობითი შეტყობინების გზით. ასეთი შეტყობინების შემთხვევაში მხარეები გადახედავენ საიჯარო თანხის ოდენობას და შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ხელშეკრულების ვადა ჩაითვლება გაგრძელებულად მომდევნო 7 წლით (მთლიანი ვადა 14 წელი), იგივე პირობებით. თუ მოიჯარე არ გამოთქვამს საიჯარო ვადის გაგრძელების სურვილს ამ ხელშეკრულების 7.2. მუხლში მოცემული წესით, ხელშეკრულება საიჯარო ვადის პირველი 2 წლის გასვლის შემდეგ ჩაითვლება შეწყვეტილად და მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, განახორციელონ წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ის ქმედება ან/და ვალდებულება, რაც დაკავშირებულია მათ შორის საიჯარო ურთიერთობების შეწყვეტასთან.

მუხლი 8. საიჯარო ქონების მოვლა, მიმდინარე რემონტი და კაპიტალური ხარჯები

8.1. მოიჯარე ვალდებულია იზრუნოს საიჯარო ქონების სათანადოდ მოვლისათვის.

8.2. მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით შეუფერხებელი სარგებლობა, კერძოდ, დაიცვას მოიჯარე ნებისმიერი მესამე პირის არამართლზომიერი ჩარევისაგან, რაც დაკავშირებულია ასეთი მესამე პირების მიერ მეიჯარესთან ან/და საიჯარო ქონებაზე საკუთრების უფლებასთან არსებული რაიმე ქონებრივ ან/და სხვა დავასთან.

8.3. მოიჯარე უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯით განახორციელოს საიჯარო ქონების მიმდინარე რემონტი, წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლში მითითებული მიზნებით გამოყენებისათვის.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით, მხარეები თანხმდებიან, რომ დასაშვებია, მოიჯარემ, საიჯარო ქონებაში 5.1. მუხლში გათვალისწინებული საქმიანობისათვის, დაამონტაჟოს სხვადასხვა სახის ინვენტარი და მოწყობილობები, რომელიც საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ დარჩება მოიჯარის საკუთრებაში.

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით, მხარეები თანხმდებიან, რომ მოიჯარეს მიერ საიჯარო ქონებაზე გაწეული აუცილებელი კაპიტალური და სხვა ხარჯების მეიჯარის მიერ ანაზღაურება ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა საიჯარო ქონების დაზიანებისა თუ გაუარესებისათვის

9.1. მოიჯარე პასუხს აგებს საიჯარო ქონებისა და საკუთვნებლის დაზიანებისა თუ გაუარესებისათვის (გარდა ნორმალური ცვეთისა, რომელიც მხედველობაში არ მიიღება), რომლებიც წარმოიშვა იჯარის მოქმედების პერიოდში.

9.2. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქონებას ან მის საკუთვნებელს მიადგება ზიანი, რომელიც არ არის გამოწვეული მოიჯარის ბრალით, გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით და აღნიშნული დადგა მეიჯარის ან მესამე პირების დაუდევრობით ან/და ბრალეულობით, მოიჯარე პასუხს არ აგებს ასეთი ზიანისთვის და უფლება აქვს, მოსთხოვოს მეიჯარეს ან/და მესამე პირს ასეთი ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 10. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

10.1. მხარეები აცხადებენ და ირწმუნებიან, რომ ისინი წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირებს და მათ აქვთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლებამოსილება.

10.2. მეიჯარე აცხადებს და იძლევა გარანტიას რომ მეიჯარეს აქვს კანონიერი საკუთრების უფლება საიჯარო ქონებაზე. მეიჯარე აგრეთვე აცხადებს და ირწმუნება, რომ მას აქვს საიჯარო ქონების კანონიერი და ვადიანი ფლობის უფლება, აგრეთვე უფლება იჯარით გასცეს ის მოიჯარეზე და წინამდებარე ხელშეკრულების დადებით მას არ დაურღვევია რაიმე შეთანხმება.

10.3. მეიჯარე აცხადებს და ადასტურებს, რომ საიჯარო ქონებას ან/და მის საკუთვნებელს არ აქვს რაიმე სახის დაფარული ნაკლი, რაც დაუმალა მოიჯარეს და რაც შეამცირებდა ქონების ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა მოიჯარეს საიჯარო ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში. მეიჯარე აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ საიჯარო ქონება და მისი საკუთვნებელი, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, იმყოფება წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის გამართულ, ფუნქციურ, ოპერირებად და ვარგის მდგომარეობაში და საიჯარო ქონების ფარგლებში დამონტაჟებული/არსებული ნებისმიერი სახის აღჭურვილობა, ინვენტარი, მოწყობილობა, ტექნიკა და სხვა საკუთვნებელი, მათ შორის ის საშუალებები, რომელიც დაკავშირებულია საწვავის რეალიზაციასთან და სხვა შესაბამისი საქმიანობის განხორციელებასთან, არის შესაბამისი კანონმდებლობისა და წესების დაცვით დამონტაჟებული/დაყენებული და მასზე მოპოვებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის ლიცენზია/ნებართვა, ასეთი არსებობის შემთხვევაში. მეიჯარე ვალდებულია მიაწოდოს მოიჯარეს ყველა სახის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია საიჯარო ქონებისა და მისი საკუთვნებლის გამოყენებასთან.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქონება ან/და მისი საკუთვნებელი ან/და მისი ნაწილი წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს იყო ნაკლის მქონე (იყო შეცდომით დამონტაჟებული, ჰქონდა ფიზიკური ნაკლი, იყო ხარვეზის მქონე და სხვა), მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა ამის შესახებ მეიჯარემ, ნივთის ნაკლის გამო მეიჯარეს პასუხისმგებლობა განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის დებულებების შესაბამისად.

10.5. მეიჯარე აცხადებს, ირწმუნება და იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის, მან მოიჯარეს მიაწოდა ყველა სახის ინფორმაცია, რაც უკავშირდება საიჯარო ქონების ან/და მისი საკუთვნებლის ან/და მისი ნაწილის ნაკლს, პრობლემას ან/და ხარვეზს და საიჯარო ქონებისა ან/და მისი საკუთვნებლის გამოყენებას.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე დაარღვევს აღნიშნული 10.5 მუხლის მოთხოვნას, რის გამოც საიჯარო ქონებას, მის საკუთვნებელს ან/და მოიჯარეს მიადგება ზიანი, მეიჯარე ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი ზიანი სრულად, მოიჯარის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

10.7. მეიჯარე აცხადებს, იძლევა გარანტიას და კისრულობს ვალდებულებას, რომ საიჯარო ქონების გაყიდვის, გადაცემის, დაგირავების, დათმობის ან სხვაგვარად გასხვისების შემთხვევაში, იგი ამის შესახებ წინასწარ წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე გაყიდის, გადასცემს, გააჩუქებს, დააგირავებს, ან სხვაგვარად გადასცემს საკუთრების უფლებას ან საიჯარო ქონებაზე კონტროლს, მეიჯარე საიჯარო ქონების გასხვისებისა თუ სხვაგვარი განკარგვის აქტში/დოკუმენტში (ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვა) გაკეთებული დათქმით, ან სხვა საშუალებით უზრუნველყოფს, რომ იჯარა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები, პირობები და წესი დარჩეს ძალაში, გაგრძელდეს და სრულად შესრულდეს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. ნებისმიერი ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგო შეთანხმება ჩაითვლება ბათილად.

10.8. მხარეები აქვე აცხადებენ და თანხმდებიან, რომ მოიჯარე ისარგებლებს უპირატესი შესყიდვის უფლებით, რაც გულისხმობს იმას, რომ მიეჯარის მიერ საიჯარო ქონების ან მისი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, მოიჯარე სარგებლობს საიჯარო ქონების ან მისი ნაწილის უპირატესი შესყიდვის უფლებით.

მუხლი 11. კონფიდენციალურობა

11.1. მხარეები თანხმდებიან, რომ დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობას და კისრულობენ ვალდებულებას, არ გაამჟღავნონ ან გაანდონ მესამე პირებს ან სხვაგვარად გააერცელონ წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

11.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან ერთი წლის განმავლობაში არ გაუმხილონ ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს ან არ გაავრცელონ სხვაგვარად რაიმე სახის ინფორმაცია, რომელიც ეხება რომელიმე მხარის (ან მასთან დაკავშირებული კომპანიის/ფილიალის) საქმიანობას, ან ფინანსურ მდგომარეობას; ასევე მიიღონ ყველანაირი ზომა, რათა არ მოხდეს ნებისმიერი კომერციული საიდუმლოების, ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაციის პუბლიკაცია ან გამხელა, რომელიც ეხება რომელიმე მხარის (ან მასთან დაკავშირებული კომპანიის/ფილიალის) საქმიანობას ან ფინანსურ მდგომარეობას, ან მასთან დაკავშირებულ საქმიან ურთიერთობებს, ტრანზაქციებს ან ნებისმიერ სხვა ინფორმციას, რომელიც შესაბამისმა მხარემა შეიტყო წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

11.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, კონფიდენციალურად ჩაითვლება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მხარეებმა შეიტყვეს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და რომელიც ეხება წინამდებარე ხელშეკრულებასა და მის პირობებს, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა შეთანხმებასა და/ან მოლაპარაკებას, აგრეთვე რომელიც ეხება რომელიმე მხარის (ან მასთან დაკავშირებული კომპანიის/ფილიალის) საქმიანობას, ფინანსურ მდგომარეობას, ტრანზაქციებს, ან სხვა საქმიან ურთიერთობებს. ასეთი ინფორმაცია მიჩნეულია კონფიდენციალურ ინფორმაციად და დაუშვებელია მისი გახმაურება/გავრცელება.

მუხლი 12. იჯარის შეწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იჯარა წყდება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

12.1.1. იმ ვადის გასვლისთანავე, რომელიც აღნიშნულია მე-7 მუხლში, თუ არ მოხდა იჯარის ვადის გაგრძელება მოიჯარის მიერ;

12.1.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს;

12.1.3. საიჯარო ქონების სრული განადგურებით;

12.1.4. თუ მოიჯარე გახდება საიჯარო ქონების მესაკუთრე;

12.1.5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, მოიჯარე უფლებამოსილია მეიჯარისათვის ორი თვით ადრე შეტყობინების მიცემის შემდეგ ვადამდე ნებისმიერი

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

SPG კანცელარია

მიზეზით, ყოველგვარი კომპენსაციისა და პირგასამტეხლოს გარეშე, ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება.

12.2.1. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე მოითხოვს წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პირველი 7 (შვიდი) წლის განმავლობაში, იგი ვალდებულია გადაუხადოს მოიჯარეს ჯარიმა: 48000 (ორმოცდარვა ათასი) ლარის და აგრეთვე 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით ყოველ თვეზე ხელშეკრულების ასეთი შეწყვეტიდან პირველი 7 წლიანი ვადის დასრულებამდე.

12.2.2. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე მოითხოვს წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პირველი 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ, იგი ვალდებულია გადაუხადოს მოიჯარეს ჯარიმა 48000 (ორმოცდარვა ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 13. საიჯარო ქონების გადაცემა; საიჯარო ქონების დაბრუნების ვალდებულება

მოიჯარე ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იჯარის ვადის (ან/და გაგრძელებული ვადის) გასვლის შემდეგ, ან მისი ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მეიჯარეს დაუბრუნოს საიჯარო ქონება და საკუთვნებელი.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა

14.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. მხარეები აქვე აცხადებენ, ითვალისწინებენ და თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ:

14.2.1. მეიჯარე დაარღვევს წინადებარე ხელშეკრულების მე-4, მე-8 ან/და მე-10 მუხლებს;

14.2.2. მეიჯარის დაუდევრობის, გაუფრთხილებლობის ან/და ბრალეული ქმედების შედეგად მოიჯარეს მიადგება ზიანი;

14.2.3. ნებისმიერი მესამე პირი (მათ შორის, ნებისმიერი კერძო ან/და სახელმწიფო დაწესებულება) განაცხადებს პრეტენზიას ან/და წარადგენს სარჩელს მოიჯარის წინააღმდეგ საიჯარო ობიექტთან ან მის ნაწილთან დაკავშირებით, იმ გარემოებათა გამო, რაც არ არის დამოკიდებული მოიჯარეზე ან/და არ წარმოადგენს მის ბრალს;

მეიჯარე ვალდებულია აანაზღაუროს მოიჯარისათვის მიყენებული ზიანი და აგრეთვე აანაზღაუროს მოიჯარის ყველა შესაბამისი ხარჯი (მათ შორის, ადვოკატის მომსახურების, სასამართლო ხარჯები და სხვა).

მუხი 15. დაუძლეველი ძალა

15.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

15.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ და რომელთა გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომელთა დადგომა, ზემოქმედების თავიდან აცილება და გადალახვა მხარეებს არ ხელეწიფებოდათ, კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, გაფიცვები, ტერორისტული და აქტები, სამოქალაქო მღელვარებები, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.

15.3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედების მთელ პერიოდში, მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, მაქსიმალურად შეამცირონ ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეფერხებულია ვალდებულებ(ებ)ის შესრულება.

15.4. მხარეების მიერ დაუძლეველი ძალის მოქმედების განმავლობაში ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ ქმედებათა განხორციელების შედეგად გაწეული ხარჯები ეკისრება თავად ამ ხარჯ(ებ)ის გაწევის მხარე(ებ)ს.

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

SPG
კანცელარია
404391136

15.5. მხარე, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში, მაგრამ, არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, უნდა დადასტურდეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს დასკვნით.

15.6. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.

15.7. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 16. მოიჯარის მიერ თავისი უფლების დაცვა

თუ მოიჯარეს ხელი შეეშლება თავისი უფლებების განხორციელებაში, მაშინ ამის თავიდან ასაცილებლად მას შეუძლია ისარგებლოს მართლზომიერი მფლობელის უფლებამოსილებით.

მუხლი 17. დავების გადაწყვეტა

17.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.

17.2. თუ მხარეები ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის დავის წამოჭრის შესახებ შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავას არბიტრაჟის წესით განიხილავს და საბოლოოდ გადაწყვიტავს შპს ბი-დი-ჯი არბიტრაჟი (ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. № 24, I სართ.) მისივე დებულების შესაბამისად ან/და განიხილავს და საბოლოოდ გადაწყვეტს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. დამატებითი დებულებები

18.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებენ ბათილი დებულების გარეშე.

18.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

18.3. მიუხედავად ყოველივე აქ გათვალისწინებულისა, იმ შემთხვევაში თუ მეიჯარე საიჯარო ქონებას ნებისმიერი ფორმით გადასცემს ან გაასხვისებს მესამე პირზე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, შემძენი იკავებს მეიჯარის ადგილს და მასზე გადადის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

18.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებები უნდა გაიგზავნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მხარეთა შესაბამის მისამართებზე. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დროულად მიაწოდონ შეტყობინებები მათი მისამართის, ტელეფონის ნომრების, ფაქსის ნომრების ცვლილების შესახებ და აგრეთვე მათი შესაბამისი საბანკო ანგარიშების ცვლილების შესახებ.

18.5. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, მხარეები თანხმდებიან, რომ საიჯარო ვადის და საიჯარო გადასახადის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების 4.11. პუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

18.6. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

SPG
კანცელარია
404391136

მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.

18.7. მუხლების დასათაურება მხოლოდ ტექსტის აღქმის გაადვილების მიზნითაა მოცემული და არ მოახდენს ზეგავლენას ხელშეკრულების განმარტებაზე. აგრეთვე, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული მხოლობითი რიცხვი მოიცავს მრავლობით რიცხვს და პირიქით, ხელშეკრულების კონტექსტისა და შინაარსიდან გამომდინარე.

18.8. წინამდებარე ხელშეკრულება, აგრეთვე მისი ყველა დანართი, ცვლილება დამატება და სხვ. (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წარმოადგენს ერთიან და განუყოფელ ხელშეკრულებას და სრულად გამოხატავს მხარეთა ნებას.

18.9. მხარეები აქვე თანხმდებიან და ითვალისწინებენ, რომ შესაძლებელია, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მოიჯარემ გადაწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოიჯარე ჩაანაცვლოს სხვა იურიდიული პირით, ანუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდეს არსებულ მოიჯარესთან და გაფორმდეს ახალი იჯარის ხელშეკრულება სხვა მოიჯარესთან, რომელსაც მოიჯარე წარუდგენს მეიჯარეს. ასეთ შემთხვევაში, მოიჯარე შეატყობინებს მოსალოდნელი ჩანაცვლების შესახებ მეიჯარეს და მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებისა და ახალ მოიჯარესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების უწყვეტობის შენარჩუნებით, მეიჯარე გააფორმებს მოიჯარის მიერ შეთავაზებულ იურიდიულ პირთან ახალ იჯარის ხელშეკრულებას იმავე პირობებითა და წესით, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში. მეიჯარეს არ აქვს უფლება, უარი თქვას ამგვარ ჩანაცვლებაზე ან მოითხოვოს რაიმე სხვა დამატებითი ან განსხვავებული პირობები.

18.10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან სამივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. მხარეებს გადაეცემათ თითო-თითო ეგზემპლარი, ხოლო მესამე ეგზემპლარი ინახება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მხარეთა ხელმოწერები:

"მეიჯარე"

"მოიჯარე"-ს სახელით

SUN PETROLEUM GEORGIA 404391136

SPG

404391136

მეიჯარე _____

მოიჯარე _____

ქ. თბილისი 22 აგვისტო 2011 წელი

მიღება - ჩაბარების აქტი

2011 წლის 22 აგვისტოს, შ.პ.ს. „ჩელა"-სა (შემდგომში „მეიჯარე") და შ.პ.ს. „სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს (შემდგომში „მოიჯარე") შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, „მეიჯარემ" გადასცა სარგებლობაში „მოიჯარე"-ს იჯარის საგანი შემდეგი მახასიათებლებით:

- მიწის უძრავი ქონების საკატასტრო კოდი: 01.10.11.004.004 აღნიშნული მიწის მთლიანი ფართობიდან 468 კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა ნაგობობებით და ინფრასტრუქტურით.
- საწვავის მილსადენი 120 მეტრი. მუშა მდგომარეობაში.
- საწვავის რეზერვუარი (ოთხი) ერთეული: 19999 ლტ; 20259 ლტ; 19620 ლტ; 19930 ლტ; საწვავი არ ირიცხება. მუშა მდგომარეობაში.

„მეიჯარე "

შ.პ.ს. „ჩელა"

ს/კ 204855068

დირექტორი

დავით გვარამაძე

„მოიჯარე"

შ.პ.ს. „სან პეტროლიუმ ჯორჯია".

ს/კ 404391136

იურ. მისამართი ქ თბილისი ძველი თბილისის რაიონი,

დ. აღმაშენებლის №154

უფლებამოსილი წარმომადგენელი

ირაკლი სვანიძე

SPG
ქანცელარია
404391136

ქ. თბილისი

26.09.2011 წელი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

წინამდებარე აქტი (შემდგომში – "აქტი") გაფორმებულია ქ. თბილისში, 2011 წლის – 09 სექტემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

მეიჯარე – შპს "ჩელა", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რ-ნ'ში, ამბროლაურის ქ. №166, კორ. 2, ბ. 24, რეგისტრაციის (საიდენტიფიკაციო) № 204855068, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გვარამაძის სახით, პირადი № 01009004518;
და
მოიჯარე – შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №154, რეგისტრაციის (საიდენტიფიკაციო) № 404391136, წარმოდგენილი გიორგი როინიშვილის სახით, პირადი №01030031584; პირადობის მოწმობა № გ 0297767, რომელიც მოქმედებს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორის იანივ ადამის მიერ 2011 წლის 22 აგვისტოს გაცემული მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

შეთანხმდით, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 22 აგვისტოს გაფორმებულ, იჯარის ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება") შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. დაზუსტდეს „ხელშეკრულებაში" მოცემული საიჯარო ქონების ფართობი და „ხელშეკრულების" 4.1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „4.1. საიჯარო ქონება წარმოადგენს ავტოგასამართ სადგურს (მიწა, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა განლაგებული 468.00 (ოთხას სამოცდარვა) კვ.მ-ზე, რომელიც წითელი ფერით არის დაშტრიხული წინამდებარე ხელშეკრულებას თანდართულ ნახაზზე), მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გელოვანის გამზ. მევენახეობის ინსტიტუტის მიმდებარედ, მიწის (უძრავი ქონების) საკადრო კოდი № 01.10.11.004.004."

2. "ხელშეკრულების" 6.4. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „6.4. ქირის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში), საანგარიშო თვის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით."

3. „ხელშეკრულების" ყველა დანარჩენი დებულება უცვლელად დარჩეს ძალაში.

(მეიჯარე)

(მოიჯარე)